

ქართული, როგორც მეორე ენა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

ყურადღებით გაეცანით თითოეული დაგალების პირობას!

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ პასუხის გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დაგალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 95, ხოლო ამ ტესტში მოცემული დაგალებებისა – 84.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.

ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.

ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

- (1) **1. მათა ჯალაშვილის აზრით, იმისათვის, რომ თანამედროვე ციფრულ სამყაროში მასწავლებელმა ბავშვებს სწავლის ინტერესი გაუჩინოს, საჭიროა:**
- ა) თანამედროვეობის შესატყვისი სასწავლო სტრატეგიების გამოყენება.
 - ბ) მოსწავლეებთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარება.
 - გ) სწავლების ურთულესი პროცესის შემღებისდაგვარად გაიოლებს.
 - დ) ცოდნის გადაცემის ინდივიდუალური სტილის შემუშავება.
- (1) **2. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეები მნიშვნელოვან და აქტუალურ ცვლილებებს:**
- ა) ადეკვატურად აღიქვამენ.
 - ბ) ვერ აცნობიერებენ.
 - გ) თავს არიდებენ.
 - დ) მხელად ეგუებიან.
- (1) **3. მათა ჯალაშვილის აზრით, რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რომ მისი სასწავლო სტრატეგიები დროისა და ვითარების შესაბამისი იყოს?**
- ა) ზოგიერთი პედაგოგის გამოცდილება.
 - ბ) თანამედროვე უცხოელ მეცნიერთა მიღწევები.
 - გ) სოციოლოგიური კვლევის შედეგები.
 - დ) ჩვენს ცხოვრებაში დანერგილი სიახლეები.
- (1) **4. ამერიკელი პროფესორის, პოლ ტომასის, აზრით, თანამედროვე ტექნოლოგია:**
- ა) აუცილებელია ცოდნის მოსაპოვებლად.
 - ბ) აფერხებს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
 - გ) ეხმარება კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
 - დ) საჭიროა ყოველგვარი საქმიანობისათვის.

(1) **5. რას გულისხმობს აქტიური სწავლების სტრატეგია?**

- ა) გაკვეთილებზე სასწავლო ფილმების ჩვენებას.
- ბ) სასწავლო მასალის მუდმივ განახლებას.
- გ) სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჯგუფურ ჩართულობას.
- დ) ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ მონაცემებზე დაკვირვებას.

(1) **6. ამერიკელმა სოციოლოგებმა დაადგინეს:**

- ა) რამდენად გამართლებულია გაკვეთილზე ფილმების ჩვენება.
- ბ) რამდენად საჭიროა გამოფენებისა და ექსკურსიების მოწყობა.
- გ) როდის გვამახსოვრდება ინფორმაცია ყველაზე კარგად.
- დ) რომელი წყაროები მოსწონთ ყველაზე მეტად მოსწავლეებს.

(1) **7. ინფორმაციის დასამახსოვრებლად ყველაზე ეფექტიანია:**

- ა) ვიზუალური მასალის გაცნობა.
- ბ) ინტერნეტით მასალის მოძიება.
- გ) სასწავლო ფილმების ყურება.
- დ) საუბარი და მსჯელობა.

(1) **8. სასწავლო პროცესში ერთი და იმავე ტიპის დავალებების მიცემა:**

- ა) ართულებს მასწავლებლის საქმიანობას.
- ბ) აუმჯობესებს სასწავლო პროცესს.
- გ) ნაწილობრივ აფერხებს ბავშვის განვითარებას.
- დ) ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას.

(1) **9. მათა ჯალიაშვილის აზრით, რა დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში?**

- ა) ახალი მასალის მოძიება შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით.
- ბ) რთული საკითხების შეძლებისდაგვარად გაიოლება.
- გ) სასწავლო მეთოდებისა და დავალებათა ტიპების ცვლა.
- დ) სწავლების აპრობირებული მეთოდების დანერგვა.

(1) **10. რა განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და ინტელექტს?**

- ა) აქტიური სწავლების სტრატეგიის დანერგვა.
- ბ) ინტერნეტით ახალი წყაროების მოძიება.
- გ) ყოველგვარი შიშის დაძლევის სურვილი.
- დ) ყოველთვის ახლის ძიების სურვილი.

(1) **11. წარმოდგენილ ინტერვიუში არაფერია ნათქვამი:**

- ა) სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალებების შესახებ.
- ბ) სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის შესახებ.
- გ) სასწავლო პროცესში მშობლების მონაწილეობის შესახებ.
- დ) სასწავლო პროცესში ტექნიკის გამოყენების შესახებ.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) ყურადღებით წაიკითხეთ რეზო ინანიშვილის მოთხრობა „ფშავლები“:

ეს მთლად ერთი ციკქნა ამბავია, თანაც დიდი ხნის წინათ მომხდარი, მაშინ ჯერ ისევ ალერსით მიცინოდა მზე, მაგრამ დღესაც მხიარული ზარივით წკარუნობს ჩემში და მინდა კიდევ დიდხანს იხმაუროს, თვით მაშინაც კი, მე რომ აღარ ვიქნები ქვეყანაზე.

ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის აქეთ, პატარა სავაჭრო ფარდულში, სადაც ერთმანეთზეა მიჭუჭკული დახლი-დარი, წიგნები, რკინეული, ფეხსაცმელი, მოწყენილობა, პური, ფქვილით სავსე ტომარას ჩასჭიდებოდა მკლავმაგარი ახალგაზრდა ფშაველი ქალი და კარის ზღურბლზე მდგარს, ალერსიანი დაცინვით მიყურებდა, როდის მივხვდებოდი და გავატარებდი. მგონია, მალე მივხვდი. – აბაი, მოგიკვდა ჩემი თავი, – მოვუქციე ვითომდა ფშავურად. გადავხტი, ტომარას ბოლოებში ჩავეჭიდე, ავუწიე. ქალს ჯერ დაბნეულობა გამოეხატა სახეზე, – არაო, ნუ შესწუხდებითო. მე გავუღიმე, – რა შეწუხებაა-მეთქი. მაშინ იმასაც გაეღიმა ოდნავ ცერად აჭრილი ტუჩებით, ლამაზი კბილებით. ავწიეთ ის ტომარა, გავიტანეთ გარეთ, დავდგით ძირს, დიდი მადლობაო, მაგრამ ვიგრძენი, ტომრის იქ დატოვება არ ჰქონდა განზრახული, კედლის ჩრდილში სველი იყო მიწა. – წავილოთ-მეთქი, – წავიღეთ. ის უკან-უკან მიდიოდა, თვალებს მარილებდა. მე მეშინოდა, ტომრის ბოლოები არ გამშვებოდა, მივიტანეთ ოციოდე ნაბიჯზე მდგარ ბებერ წნორთან და იქ მივდგით. ქალიც შვებით აიძარტა და მეც. ქალიც ღრმად სუნთქავდა, მეც. ქალმა კიდევ უფრო ლამაზად გამიღიმა და საფეთქლებთან თმის შესწორებით მითხრა: – მადლობელი, ძმისავ! ღმერთიმც შეგეწევის სუყოველგან! მე მთვრალივით ვიყავი, პირველად ვნახე ვაჟას სამყარო, მისი სახლი, ხატის ნიშივით პატარა, ნალვლიანი, მისი ნატერფალი ბილიკები, მისი ჩონგური, მისი თოფი, თანაც ქარვისფრად გაბრწყინებულ ოქტომბრის დღეს, დიდ ტკბილ სიმშვიდეში, და ამ სიტყვებმა, ამ „ძმისავ!“ ხომ მუხლები მომკვეთა. დაბორილებული, თვალისსამანწაშლილი, წნორის ფესვზე დავჯექი, დაბლიდან ვუყურებდი და ასე, დაბლიდან, ვუთხარი ღიმილიანმა, ალერსიანმა, სევდიანმა:

„ქმარი სადა გყავს, ბეჩავი,
მარტოს რად გიშვებს შარასა“.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

ქალი ერთი კი გაკვირვებით შეიმართა, მერე წამსვე მოეშვა და მაშინვე სიცილით მომანათა:

„ქვემოთ, ჭინჭრებში დამირჩა.

არავინ მაიპარავსა“.

მე, ასეთი პასუხით ატაცებული, მთლად გავთამამდი:

„რათ გინდა ეგეთი კაცი,

მე გამამყევი ხარასა“.

ქალმა უკანდახედულის გამბედაობით შემომაგება:

„შენ უთხარ აეგ სათქმელი,

ჩემს არ იჯერებს არასა“.

მინდოდა კიდევ რამე მეთქვა ასევე, ლექსად, ველარ მოვახერხე, სიცილი ამიტყდა, იცინოდა გამარჯვებულის სიცილით ქალიც, ჩავყავი იდაყვებში შერცხვენილმა თავი, მინდოდა დავმხობილიყავი მიწაზედ, ალბათ, დავემხობოდი კიდევ, უკვე უგრძნობლად ვიყავი მთვრალი, მაგრამ აღარ დამცალდა. მოვიდა ის „ჭინჭარში დარჩენილი“, წვერგაუპარსავ, ჩამოგაზულ ყბაზე სისხლშემხმარი, ცხენის აქეთ-იქით ფეხებჩამოგრძელებული, ჩემზე უარესად „ბოლომოლებული“, ცხენზე ძლივს შეკავებული. ცხენიდან არ ჩამოსულა, – ამომაწოდეთო! – თავის აქნევით მიგვანიშნა ტომარაზე. ჩავეჭიდეთ მეცა და ქალიც ტომარას, ავწიეთ, ისიც ჩამოგვწვდა, დაიდო წინ, გაისწორა, ცხენი შემოაბრუნა და ხმისამოულებლად წავიდა და წაშავდა წითლად და ყვითლად აჭრელებული მთების შესაყარში. ქალიც, – ერთილა გამომილიმა და, – ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაჰყვა მის გზას.

დახლიდარმა ფარდული დაკეტა, გასაღები გამოაძრო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მოწყენილი გაჩერდა შემალლებულზე.

კითხვებზე გადასვლა: 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) **12. რა არის პირველი აზნაცის ფუნქცია?**

- ა) განაწყოს მკითხველი ისტორიული ამბის გასაგებად.
- ბ) განაწყოს მკითხველი მნიშვნელოვანი ამბის გასაგებად.
- გ) განაწყოს მკითხველი სახალისო ამბის გასაგებად.
- დ) განაწყოს მკითხველი სევდიანი ამბის გასაგებად.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **13. მოთხოვნაში გადმოცემული ამბის მოთხოვნებია:**

- ა) ასაკოვანი მამაკაცი, რომელიც თავისი პირველი სიყვარულის შესახებ გვიამბობს.
- ბ) ასაკოვანი მამაკაცი, რომელიც თავისი ცხოვრების ერთ დაუვიწყარ ეპიზოდს იხსენებს.
- გ) ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ფშაველ ქალს ერთი ნახვით შეიყვარებს.
- დ) ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ფშავეში, ვაჟა-ფშაველას მუზეუმში, მუშაობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **14. რას გამოხატავს მთხრობლის ფრაზა: „მაშინ ჯერ ისევ ალერსით მიცინოდა მზე“?**

ა) მაშინ ის ყველას მიმართ ალერსიანი და გულდია იყო.

ბ) მაშინ ის ძალიან ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე იყო.

გ) მაშინ ოქტომბრის თბილი და მზიანი ამინდი იყო.

დ) მაშინ ხალხს მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **15. რატომ უყურებდა ქალი მამაკაცს „ალერსიანი დაცინვით“?**

ა) რადგან ის ვერ ხვდებოდა, რომ ქალს მძიმე ტომრის აწევა უჭირდა.

ბ) რადგან ის ვერ ხვდებოდა, რომ ქალს ხელს უშლიდა გავლაში.

გ) რადგან მას აშკარად ეტყობოდა, რომ უცხოდ გრძნობდა თავს.

დ) რადგან მას შეატყო, რომ მოხიბლული იყო ქალის სილამაზით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **16. რატომ გაუჩნდა სურვილი მამაკაცს, ლექსით შეხუმრობოდა ფშაველ ქალს?**

- ა) ვაჟას მშობლიურმა გარემომ და ქალის სილამაზემ ის პოეტურ განწყობაზე დააყენა.
- ბ) იცოდა, რომ ქალიც ლექსად უპასუხებდა და მასთან გაჯიბრება გადაწყვიტა.
- გ) უნდოდა, რომ იქ მყოფებზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა.
- დ) უნდოდა, რომ ქალი მის მძიმე ცხოვრებაზე დაეფიქრებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 17. რომელია ფრაზეოლოგიზმი?

ა) „გაკვირვებით შეიმართა.“

ბ) „ლამაზად გამიღიმა.“

გ) „მთლად გავთამამდი.“

დ) „მუხლები მომკვეთა.“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **18. რის გამო ამბობს მამაკაცი:** „მინდოდა დავმხოზილიყავი მიწაზედ... უკვე უგრძნობლად ვიყავი მთვრალი“?

- ა) ვაჟას სამყაროთი და ექსპრომტად ნათქვამი ლექსებით აღტაცების გამო.
- ბ) ვაჟას სახლ-კარისა და ბუნების მშვენიერებით გამოწვეული შთაბეჭდილების გამო.
- გ) სახუმარო პაექრობაში დამარცხებით გამოწვეული სირცხვილის გამო.
- დ) ფშაველი ქალის სილამაზით მიღებული შთაბეჭდილების გამო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 19. რაზე მიგვანიშნებს ფშაველი მამაკაცის დასახასიათებლად გამოყენებული ეპითეტი „ბოლომოღებული“?

ა) რომ ის დაბნეულია.

ბ) რომ ის დაღლილია.

გ) რომ ის თავქარიანია.

დ) რომ ის ნასვამია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **20. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?**

- ა) „გასაღები გამოაძრო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მოწყენილი გაჩერდა შემაღლებულზე.“
- ბ) „პირველად ვნახე ვაჟას სამყარო, მისი სახლი, ხატის ნიშივით პატარა, ნაღვლიანი.“
- გ) „ქალიც, ერთიღა გამომიღიმა და, ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაჰყვა მის გზას.“
- დ) „ქალმა კიდევ უფრო ლამაზად გამიღიმა და საფეთქლებთან თმის შესწორებით მითხრა...“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **21. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**

- ა) ვაჟა-ფშაველას მშობლიური კუთხის.
- ბ) სოფლის მშვიდი და მყუდრო გარემოს.
- გ) ფშაველი მამაკაცების ვაჟკაცური ხასიათის.
- დ) ფშაველების პოეტურობისა და იუმორის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(8) 22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 4 წინადადება ზედმეტია.

მონთობანის ქართველ კათოლიკეთა სტამბა

ქართველ კათოლიკე მამათა სავანე მე-19 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ქალაქ მონთობანში დაარსდა. (1) ----- . 1874 წლით დათარიღებულ წერილში მონთობანის ეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ ქართველი სასულიერო პირები კეთილშობილებითა და საქმის ერთგულებით გამოირჩევიან და დიდ პატივისცემას იმსახურებენ. (2) ----- .

ქართველ კათოლიკეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა მონთობანში სახელმძღვანელოების ბეჭდვა იყო. (3) ----- . სწორედ აქ გამოცემულ სახელმძღვანელოებს გზავნიდნენ არა მარტო უცხოეთის ქართული კულტურის კერებში, არამედ სამშობლოშიც, რათა ქართველ ბავშვებს საშუალება მისცემოდათ განათლება მშობლიურ ენაზე მიეღოთ. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სოფლის ღარიბი მოსახლეობა, ამ პერიოდში სახელმძღვანელოების დეფიციტს განიცდიდა. (4) ----- . მონთობანელ მამებს განათლებული ახალგაზრდების აღზრდა უდიდეს ეროვნულ საქმედ მიაჩნდათ. წიგნების ქართულ ენაზე გამოცემით მათ დიდი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოების განათლების მნიშვნელოვან საქმეში.

მონთობანელი მამები მასწავლებლებსა და მშობლებს ურჩევდნენ წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებისათვის ქართული გრამატიკა ესწავლებინათ. ისინი ხშირად იშველიებდნენ იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს: ყმაწვილს თავის დედაენაზე, რომელიც საკმაოდ ესმის, გონება სულ მალე გაეხსნება და ადვილად შეისწავლის სამეცნიერო საწყისებს. (5) ----- .

სასულიერო პირებმა დიდი ამაგი დასდეს ასევე ლექსიკონების გამოცემის საქმეს. (6) ----- . წიგნი გამოსაცემად უკვე მზად ჰქონდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ავტორებმა ნებართვა ვერ მიიღეს, ის აღარ დაიბეჭდა. (7) ----- .

დასაინანია, რომ XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების შედეგად მონთობანის ქართული სავანის არსებობა შეწყდა. (8) ----- . ამ წიგნებს შორის იყო ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, გეომეტრიისა და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები.

გამოტოვებული წინადადებები:

- ა) აგრეთვე აღნიშვნის ღირსია აქ დაბეჭდილი საქართველოს რუკა.
- ბ) ამისათვის მათ პარიზიდან საბეჭდი მანქანა გამოიწერეს და ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყეს.
- გ) ამრიგად, მათი მიზანი – ბავშვებისათვის ცოდნის მტკიცე ფუნდამენტი მოემზადებინათ, ვერ განხორციელდა.
- დ) აქვე გაიხსნა სასწავლებელი, სადაც საქართველოსათვის სასულიერო პირები უნდა მოემზადებინათ.
- ე) განსაკუთრებით აღნიშნეს გამომცემელთა თავმდაბლობა და მოკრძალება.
- ვ) ვინც მშობლიურ ენაზე შედგენილ წიგნებს საფუძვლიანად შეისწავლის, მას გიმნაზიაში უცხოური წიგნების შესწავლაც ბევრად გაუადვილდებაო.
- ზ) იმავე წლით დათარიღებულ მეორე წერილში კი საზეიმოდ ლოცავს მათს სამლოცველოსა და სასწავლებელს მონთობანში.
- თ) იქ არსებული სტამბა სტამბოლში გადაიტანეს, მაგრამ ველარ მოხერხდა დასაბეჭდად გამზადებული სასკოლო წიგნების გამოცემა.
- ი) მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ დიდი ქართული განმარტებითი ლექსიკონის მომზადება, რომელიც შეჯერებული უნდა ყოფილიყო სულხან-საბას ლექსიკონთან.
- კ) მონთობანელი მამები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ და საგანგებოდ მათთვის დიდი რაოდენობით გზავნიდნენ წიგნებს საქართველოში.
- ლ) მძიმე ვითარებისაგან თავის დასაცავად ქართველ კათოლიკეთა ნაწილმა კონსტანტინოპოლს მიაშურა.
- მ) სამაგიეროდ, გამოიცა მოკლე ფრანგულ-ქართული და ლათინურ-ქართული ლექსიკონები, რომლებიც განკუთვნილი იყო სოფლის სკოლებისათვის.

ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

- (10) 23. წაკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს (გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლება. ნიმუში მოცემულია).
- არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში

1. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის საკითხს ქართველი საზოგადოება აქტიურად განიხილავდა. იმდროინდელი პუბლიკაციები ძირითადად ქართველი ქალის როლის განსაზღვრას ეძღვნება. თანაბრად ხაზგასმულია შემდეგი საკითხები: ა) ქალი, როგორც ოჯახის ბურჯი; ბ) ქალი, როგორც დედა და ქვეყნისთვის შვილთა აღმზრდელი და გ) ქალი, როგორც მშობლიური ენის სიწმინდის დამცველი.
2. საქართველოში ქალთა თემას ძირითადად ეროვნულ საკითხთან კონტექსტში განიხილავდნენ მაშინაც კი, როცა საუბარი იყო ქალის როლზე ოჯახში: „შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს. დედამ ოჯახი სკოლად უნდა აქციოს, შვილს ქართული სული შთაბეროს, ასწავლოს, რას ნიშნავს თავისუფლება და მოვალეობა, იხსნას სილატაკისაგან და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის ბედნიერებას“, – წერდა დ. ერისთავი. ქალთა საზოგადოებრივ როლზე მსჯელობის დროსაც ხშირად სწორედ სამშობლოს სამსახურის იდეა იყო წინ წამოწეული: ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორც ჩვენ ვართ, არ ეპატიება მთელი ერის ერთი ნახევრის უმოქმედობა საზოგადო ასპარეზზე. რადგან ქვეყნის გამოღვიძება იყო ქართველ მოღვაწეთა მთავარი მიზანი, ამ საქმეში ყველა რესურსის, მათ შორის ქალთა პოტენციალის, სრულად გამოყენება აუცილებლად მიაჩნდათ.

3. ძნელად მოიძებნება იმდროინდელი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც საკუთარი აზრი არ გამოეთქვას ამ თემაზე. ნ. ნიკოლაძე მოთხრობაში „პროვინციული სურათები“, რომელიც ქალთა მდგომარეობას ეძღვნება, მკითხველს ასე მიმართავს: „განა მისი გაჩენის წუთიდან თქვენ არ მიეჩვიეთ, ისე უცქიროთ მას, როგორც მანქანას, რომელიც დანიშნულია თქვენი „ვნებებისა და სურვილების“ დასაკმაყოფილებლად?!“ მწერალი ქალთა უმაღლესი განათლების მომხრე იყო და აღტაცებით შეეგება 1873 წელს ქართველ ქალთა მცირე ჯგუფის სასწავლებლად გამგზავრებას შვეიცარიაში.

4. იმ დროს არ წამოწყებულა არცერთი ეროვნული საქმე, რომლებშიც ქალებს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ. დიდი ამაგი დასდეს მათ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს. ქალთა ორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობის ძირითად მიმართულებებად აირჩიეს: განათლება, ქალთა საზოგადო ასპარეზზე გამოყვანა, ეროვნული სკოლის აღორძინება, საბავშვო ლიტერატურის განვითარება და ა. შ.

5. ამავე ორგანიზაციების თაოსნობით გაიხსნა ქალთა ათობით სასწავლებელი, სადაც ყველა საგანი მშობლიურ ენაზე ისწავლებოდა. გარდა ამისა, დაარსდა საბავშვო ჟურნალები: „ჯეჯილი“ და „ნაკადული“, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ქალთა ორგანიზაციების წევრების მოღვაწეობა ათმაგად დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რა მძიმე საოჯახო ტვირთის ტარება უხდებოდათ მათ როგორც მეუღლეებსა და, ხშირ შემთხვევაში, როგორც მრავალრიცხოვანი ოჯახის დიასახლისებს.

წინადადების N	წინადადება	დიახ	არა	აბზაცის N
0.	მე-19 საუკუნის პრესაში ხშირად იწერებოდა ქართველი ქალის როლსა და ფუნქციაზე.	X		1
1.	მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწეების საქმიანობის მთავარი მიზანი ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა იყო.			
2.	ნიკო ნიკოლაძე მოთხრობაში „პროვინციული სურათები“ მკითხველს მოუწოდებს იფიქროს სახელმწიფო ინტერესებზე.			
3.	ნიკო ნიკოლაძე მიიჩნევდა, რომ ქალებს უნდა მიეღოთ უმაღლესი განათლება.			
4.	საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალების აქტიურობა აუცილებლად მიაჩნდათ ქართველი ერის მცირერიცხოვნობის გამო.			
5.	საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალთა გააქტიურების თემა მნიშვნელოვანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა.			
6.	საზოგადო მოღვაწეები თავს არიდებდნენ ქალთა საკითხზე აზრის გამოხატვას.			
7.	საქართველოში ქალთა თემა, როგორც წესი, პირდაპირ უკავშირდებოდა ნაციონალურ საკითხს.			
8.	ქალთა ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება მშობლიურ ენაზე განათლების მიღება იყო.			
9.	ქალთა ორგანიზაციების წევრები თავისუფალი იყვნენ ოჯახური საქმეებისაგან.			
10.	ქართული პრესა ქალის როლის განსაზღვრისას უპირატესობას ანიჭებდა ქალის, როგორც შვილის აღმზრდელის, როლს.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

სასწავლო პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია, რომ მშობლები მასში აქტიურად ჩაერთონ და მასწავლებლის მოკავშირეებად იქცნენ.

N 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

IV. პროფესიული ცოდნა (25 ქულა)

- (10) 25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – \checkmark (ნიმუში მოცემულია). არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
<p>ზემო სვანეთის სოფელი ჩაქაში ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მდებარეობს. აქ თითქმის უცვლელად არის შენარჩუნებული შუა საუკუნეების სოფლის იერ-სახე. 1996 წელს იუნესკომ ჩაქაშს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს. სიტყვა „ჩაქაში“ სვანურად ცხენების სადგომს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, უშგულში სტუმრობისას თამარ მეფის ამაღლა ცხენებს სწორედ ამ ადგილას აჩერებდა. სოფლის სახელიც აქიდან მომდინარეობს. ჩაქაშის არქიტექტურული კომპლექსი აერთიანებს რამდენიმე უძველეს ნაგებობას. მათ შორის არის 13 კოშკი და 20-ზე მეტი საცხოვრებელი სახლები. სოფელთან, ერთ-ერთ მთაზე, დგას XII-XIII საუკუნეებში აგებული ციხე, რომელიც შესდგება ქვის გალავნისა და სამი კოშკისაგან. ორი მათგანი დღეს სანახევროდაა დანგრეული, ხოლო ერთი თითქმის პირვანდელ სახით არის შემონახული. ძველად ყველა ასეთ კოშკს საიმედო თავშესაფარის დანიშნულება ჰქონდა. ამჟამად ზემო სვანეთში ინტენსიურად მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები, რადგან დროულად განხორციელდეს ჩაქაშის რეაბილიტაცია.</p>	<p>00. ----- \checkmark ----- 0. ----- იერსახე ----- 1. ----- 2. ----- 3. ----- 4. ----- 5. ----- 6. ----- 7. ----- 8. ----- 9. ----- 10. -----</p>

NN 26-37 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

*იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები (შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები).
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!*

გაითვალისწინეთ, NN 26-35 დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას გაასწორებთ და არ დაწერთ დავალების პირობის შესაბამის განმარტებას.

- (1) **26. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** საახალწლო სპექტაკლისათვის როლების განაწილება მოვახდინეთ.
განუმარტეთ მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.
- (1) **27. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** მამამ ძველ თაროს შეკეთება გადაწყვიტა.
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **28. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** ამ უცნაურ შემთხვევას ბავშვები შეესწრნენ და ეს ამბავიც მათმა შეგვატყობინეს.
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **29. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** წიგნის მე-30-ე გვერდზე მეტად საინტერესო ილუსტრაციაა.
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

- (1) **30. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *მე და ჩემი მეგობარი ერთად ვახშობდით, გიორგიმ რომ დამირეკა.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **31. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *მასწავლებელმა ფერადი ფიგურები დაგვათვლივია.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **32. მოსწავლემ განმარტა, რომ ზმნისწინი გამოხატავს მოქმედების მიმართულებას და მოიყვანა შესაბამისი მაგალითიც:**
გაფრინდა, აფრინდა...
დაასახელეთ ზმნისწინის კიდევ ერთი ფუნქცია და მოიყვანეთ სათანადო მაგალითი.
- (1) **33. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *ფესტივალზე წარდგენილმა ორივე ქართულმა ფილმებმა ჟიურის მოწონება დაიმსახურა.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **34. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *ტურისტები თბილისის ძველი უბნები ფეხით შემოიარეს.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (1) **35. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *ძმები სპორტის ერთი და იგივე სახეობაში ვარჯიშობენ.*
განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

- (3) **36. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** კონკურსში მონაწილეობდა ჩემი და-ძმაც, რომელსაც ნინო მასწავლებელი ორი წლის განმავლობაში ამეცადინებდა.
- ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.
 - ბ) რა ტიპის შეცდომაა დაშვებული მოცემულ წინადადებაში?
 - გ) განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.
- (2) **37. იმსჯელეთ, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურიდან ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებს შესთავაზებდით თქვენს მოსწავლეებს წასაკითხად და რატომ.**